ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №303 /2018

ქ. თბილისი „05" ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მ.შ. გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ელიტ სერვისი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გელა ნატროშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15[1] მუხლის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. "მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შენობების მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV 50700000) შესყიდვა.

2.2. გასაწევი მომსახურების კონკრეტულად მოიცავს:

2.1.1. ცენტრალური გათბობის შეკეთაბასა და ტექნიკურ მომსახურებას (CPV 50720000)

2.1.2. გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთებსა და ტექნიკური მომსახურების (CPV 50730000)

2.3. გასაწევი მომსახურების დასახელება და ერთეულის ღირებულება, პრეისკურანტის სახით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

2.4. ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობის ან აღნიშნული ერთეულის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა

მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3500 (სამი ათას ხუთასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.3. ხელშეკრულების პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს **11,730 (თერთმეტი ათას შვიდას ოცდაათი)** ლარს ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

4.1.1. გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება „შემყიდველის" ოფიციალური (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) შეტყობინებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევისათვის /შეკეთებისათვის საჭირო დეტალი საჭიროებს შესყიდვას ქეყნის ფარგლებს გარეთ, მითითებული ვადა შეიძლება გაგრძელდეს საჭიროებისამებრ, მხარეევბს შორის შეთახმების საფუძველზე.

4.1.2. გასწიოს ხარისხიანი მომსახურება ამ სფეროში მოქმედი სტანარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

4.2.1. შეატყობინოს „მომწოდებელს" მომსახურების საჭიროების თაობაზე ტელეფონით, ნომერზე (+995 32) **2200202** ან ელექტრონული ფოსტით, მისამართზე - **sales@es.ge**

4.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი:

5.1. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქონების მართვისა და სამეურნეო სამმართველოს თანამშრომლები: პაატა მაისაია და აბესალომ არჩემაშვილი.

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციად გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხარისხი და გარანტია:

გაწეულ მოსახურებაზე ვრცელდება 12 თვიანი გარანტია. გარანტიის ვადა აითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

8. ანგარიშსწორება

8.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. თანხა ჩაირიცხება ხელშეკრულებაში მითითებულ, შემსყიდველის საბანკო რეკვიზიტებზე

9. ფასები

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.2.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2. ხელშეკრულებაში ცვლიბების შეტანა შესაძლეებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. ხელშეკრულების 4.4.1. ქვეპუნქტიოთ გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. ხელშეკრულების 8.1. ქვეპუნქტიოთ გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო , ასანაზღაურებელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხევაზე.

12.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო _____ გიორგი იაკობაშვილი სააგენტოს უფროსის მ.შ. ს.კ. 205142200 მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანი №6 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი 220101222 ანგარიშის # 200122900 ტელ: +995 32 297-97-61 (30-71)	შპს „ელიტ სერვისი“ _____ ბელა ნატროშვილი გენერალური დირექტორი ს/კ 404858864 მისამართი: ქ. თბილისი, ... ქავთარაძის №1 **<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>** სს “საქართველოს ბანკი” BAGAGE22 GE76BG0000000270029400 ტელ: (+995 32) 220 02 02

გასაწევი მომსახურების პრეისკურანტი

ცენტრალური გათბობის ქვაბი	
შეკეთება	
პლატის მოხსნა/შეკეთება/დაყენება	250.00
თბომცვლელის, ჩქაროსნულის, სანთურის, მოხსნა/გამორეცხვა/გაწმენდა/შეკეთება/შეცვლა/დაყენება	120.00
ვენტილატორის, პრისოსტატის, გამაფართოვებელი ავზის, პომპის მოხსნა/გამორეცხვა/გაწმენდა/შეკეთება/შეცვლა/დაყენება	80.00
სენსორების, მაღალი წნევის სარქველის, შემავსებელი ვენტილის, წყლის წნევის მაჩვენებლის შეკეთება/შეცვლა	60.00
ცენტრალური გათბობის სისტემა	
ქვაბის არასტანდარტული ინსტალაცია (რადიატორის გარეშე, თუ კედლის სისქე აღემატება 30სმ-ს)	180.00
ქვაბის სტანდარტული ინსტალაცია (რადიატორის გარეშე)	150.00
ბოილერის ინსტალაცია	150.00
გათბობის სისტემის გამორეცხვა	150.00
გათბობის წერტილის სტანდარტული ინსტალაცია**(რადიატორის დაკიდებით)**	60.00
კედლის გაჭრა (1მ.)	15.00
გათბობის წერტილის სტანდარტული ინსტალაცია**(რადიატორის გარეშე)**	40.00
რადიატორის(პანელური, სექციური, საშრობის) - ინსტალაცია	30.00
ქვაბის ჩართვა, წნევის რეგულირება, დაჰაერება, ექსპლუატაციაში გაშვება (<u>ფიზიკურ</u> პირთათვის)	60.00

ქვაბის დეინსტალაცია	50.00
რადიატორის(პანელური, სექციური, საშრობის) - ჩამატება	60.00
რადიატორის(პანელური, სექციური, საშრობის) - გამორეცხვა	50.00
გათბობის რადიატორზე ვენტილის(ონკანის) დეინსტალაცია-ინსტალაცია	25.00
იატაკში გათბობის მოწყობა - კვმ. ინსტალაცია	25.00
გამანაწილებელი კოლექტორის ინსტალაცია (1ც. დაერთება, რაოდენობის გათვალისწინებით)	15.00
ქვაბის ჩართვა, წნევის რეგულირება, დაჰაერება, ექსპლუატაციაში გაშვება (**იურიდიულ** პირთათვის)	შეთანხმებით

კონდიციონერი	
ფრეონის დამატება 9000-12000Btu. R 22	100.00
ფრეონით დატუმბვა 9000-12000Btu. R 22	150.00
ფრეონის დამატება 18000-30000Btu. R 22	150.00
ფრეონით დატუმბვა 18000-30000Btu. R 22	230.00
ფრეონის დამატება 36000-60000Btu. R 22	230.00
ფრეონით დატუმბვა 36000-60000Btu. R 22	300.00
ფრეონით დატუმბვა 9000-12000Btu. R 407 - R 410	150.00
ფრეონით დატუმბვა 18000-30000Btu. R 407 - R 410	250.00
ფრეონით დატუმბვა 36000-60000Btu. R 407 - R 410	350.00
ფილტრების გაწმენდა (მხოლოდ)	30.00
ელექტრო ნაწილების შეცვლა, სადრენაჟო სისტემის გაწმენდა, სადრენაჟო სისტემი გაყვანა/გასწორება	50.00

შიდა ბლოკის გაწმენდა: ფილტრი, რადიატორი, ვენტილატორი (კომპლექსურად)	80.00
გარე ბლოკის გაწმენდა	90.00
ელექტრო ნაწილების, მართვის ბლოკის შეკეთება	100.00
შედუღება	80.00
კომპრესორის ან სარქველის შეცვლა 9000-30000Btu.	150.00
კომპრესორის ან სარქველის შეცვლა 36000-60000Btu.	250.00
ინსტალაცია / დეინსტალაცია 9000-12000btu	
სტანდარტული ინსტალაცია	160.00
არასტანდარტული ინსტალაცია	200.00
შიდა ბლოკის ინსტალაცია	70.00
გარე ბლოკის ინსტალაცია	90.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია	50.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია	70.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	120.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	160.00
დეინსტალაცია-ინსტალაცია	280.00
ინსტალაცია / დეინსტალაცია 18000-24000-30000btu	
სტანდარტული ინსტალაცია	180.00
არასტანდარტული ინსტალაცია	220.00
შიდა ბლოკის ინსტალაცია	80.00
გარე ბლოკის ინსტალაცია	100.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია	60.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია	80.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	140.00

გარე ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	180.00
დეინსტალაცია-ინსტალაცია	320.00
ინსტალაცია / დეინსტალაცია 36000-40000-50000-60000 btu	
სტანდარტული ინსტალაცია	240.00
არასტანდარტული ინსტალაცია	270.00
შიდა ბლოკის ინსტალაცია	100.00
გარე ბლოკის ინსტალაცია	140.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია	70.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია	110.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	170.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	250.00
დეინსტალაცია-ინსტალაცია	420.00
ინსტალაცია / დეინსტალაცია - არხული კონდიციონერი 36000-40000-50000-60000 btu	
სტანდარტული ინსტალაცია	280.00
არასტანდარტული ინსტალაცი	350.00
შიდა ბლოკის ინსტალაცია	120.00
გარე ბლოკის ინსტალაცია	160.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია	100.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია	120.00
შიდა ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	220.00
გარე ბლოკის დეინსტალაცია–ინსტალაცია	280.00
დეინსტალაცია-ინსტალაცია	500.00
შენიშვნა: ტარიფებში გათვალისწინებული არ არის ჰაერგამტარი არხების გაყვანის და აწყობის სამუშაოები.	

კონდიციონერზე ფრეონის დამატება მონტაჟისას (დამატებითი ტრასის მაქსიმალური სიგრძე 20მ)	
ფრეონის დამატება 9000-12000Btu. R 22	70.00
ფრეონის დამატება 18000-30000Btu. R 22	100.00
ფრეონის დამატება 36000-600000Btu. R 22	150.00
ფრეონის დამატება 9000-120000Btu. R 407 - R410	100.00
ფრეონის დამატება 18000-300000Btu. R 407 - R410	130.00
ფრეონის დამატება 36000-60000Btu. R 407 - R410	180.00
კონსულტაცია ადგილზე გამოძახებით - მოწყობილობის ფუნქციებისა და მუშაობის პრინციპის ახსნა, ექსპლუატაციის და უსაფრთხოების წესების გაცნობა.	30.00
დიაგნოსტიკა - აქსესუარების და კომუნიკაციების შემოწმება, კომპონენტების პროგრამული დიაგნოსტიკა, ცალკეული ბლოკების შემოწმება და დაზიანებული დეტალის დემონტაჟი.	50.00
ფართის დათვალიერება - 3 ერთეულზე მეტის შემთხვევაში, ყოველ მომდევნოზე დაემატება 10 ლარი	30.00
კონდიციონერის სამონტაჟო ადგილზე კედლის წინასწარი გაბურღვა ინსტალაციის გარეშე	50.00
თუ კლიენტს კედელი აქვს სტანდარტის მიხედვით გაბურღული, ინსტალაციის თანხა მცირდება 30 ლარით	
ტრანსპორტირება	45.00
ტრანსპორტირების ტარიფი 45 ლარი მოქმედებს მე-5 სართულის ჩათვლით. ლიფტის გარეშე ატანის შემთხვავში ყოველ დამატებით სართულზე დაემატება 10 ლარი	10.00

თუ მისამართი მომსახურე სერვისიდან აღემატება 20 კილომეტრს, მომსახურებას ემატება ტრანსპორტირების ღირებულება კილომეტრზე 1.50 ლარი	
ინსტალაციის დროს 1 მეტრი სადენ-არხის ინსტალაცია (ყოვლ დამატებით მეტრზე დაემატება მომსახურების ღირებულება 15 ლარი და მასალის ღირებულება)	15.00

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო _____ გიორგი იაკობაშვილი სააგენტოს უფროსის მ.შ. ს.კ. 205142200 მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანი №6 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი 220101222 ანგარიშის # 200122900 ტელ: +995 32 297-97-61 (30-71)	შპს „ელიტ სერვისი“ _____ გელა ნატროშვილი გენერალური დირექტორი ს/კ 404858864 მისამართი: ქ. თბილისი, ჯ. ყავთარაძის №1 **<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>** სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22 GE76BG0000000270029400 ტელ: (+995 32) 220 02 02

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს „ელიტ სერვისი“-ს** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მ.შ.

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირი:

1. პაატა მაისაია ----------
2. აბესალომ არჩემაშვილი ----------